

უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა „Web of Science“-ის კოლექციაზე,

მოკლე ინფორმაცია Clarivate Analytics-ის შესახებ

Web of Science წარმოადგენს საინფორმაციო პლატფორმას, სადაც ინდექსირებულია 16 000 წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერების ყველა სფეროში - ტექნიკური მეცნიერების, მედიცინისა და სოციალური მეცნიერების, ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერების მიმართულებით. ბაზაში არსებული თითოეული ჩანაწერისთვის დათვლილია ასევე ციტირების რაოდენობა, რაც საუკეთესო ინდიკატორია სტატიის გავლენის, მნიშვნელობის და კვლევის გავლენის (იმპაქტის) შესაფასებლად.

2017 წლის 8 დეკემბრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და მასთან შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს ექნებათ წვდომა „Web of Science“-ის კოლექციაზე, რაც საშუალებას მისცემს საქართველოში მოღვაწე მეცნიერებს განახორციელონ მათ სფეროში არსებული მნიშვნელოვანი ნაშრომების თემატური ძებნა, მოიძიონ საუკეთესო კოლაბორანტი ერთობილი კვლევისთვის და მაღალი გავლენის (იმპაქტის) მქონე ჟურნალი თავიანთი კვლევის გამოსაქვეყნებლად.

„Web of Science“-ის გამოყენებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შესაძლებლობა ექნება ჩამოაყალიბოს სამეცნიერო განვითარების სტრატეგია.

LLC “Clarivate“-თან ხელმომწერ ინსტიტუციებს 2017 წლის 8 დეკემბრიდან აქვთ წვდომა „Web of Science“-ის კოლექციაზე, სადაც ინდექსირებულია 16 000 წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერების ყველა სფეროში. ბაზაში არსებული თითოეული ჩანაწერისთვის დათვლილია ასევე ციტირების რაოდენობა, რაც საუკეთესო ინდიკატორია სტატიის გავლენის, მნიშვნელობის და კვლევის გავლენის (იმპაქტის) შესაფასებლად. „Web of Science“-ზე წვდომა საშუალებას მისცემს საქართველოში მოღვაწე მეცნიერებს განახორციელონ მათ სფეროში არსებული მნიშვნელოვანი ნაშრომების თემატური ძებნა, ვინაიდან ხდება თითოეული ავტორის ინდექსაცია.

„Web of Science“-ის გამოყენებით უნივერსიტეტების ადმინისტრაციას შესაძლებლობა ექნებათ ჩამოაყალიბონ სამეცნიერო განვითარების სტრატეგია შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- რომელი მეცნიერი/ლაბორატორია/დეპარტამენტი ახორციელებს კვლევას ეფექტურად;
- რომელ სამეცნიერო მიმართულებებში საქმიანობს უნივერსიტეტი ყველაზე წარმატებულად;
- შედარების შესაძლებლობა სხვა უნივერსიტეტებთან, რომელიც იმყოფება რეიტინგის X პოზიციაზე;
- რომელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ და რომელ ორგანიზაციებთან უნდა ითანამშრომლონ;
- როგორ მოახდინონ მეცნიერების (კვლევის) კომერციალიზაცია;
- როგორი სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ უნივერსიტეტებმა მეცნიერების განვითარებისთვის და როგორი გაზომვის (შეფასების) საშუალებები უნდა გამოიყენონ წარმატებისთვის.